# საქართველო
# ხონის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ60. 60232994**

თარიღი:**26/10/2023**

ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვაზე
ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა'' და ,,ე.ე'' ქვეპუნქტების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს 57-ე მუხლის, 180-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ'' ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 ოქტომბრის N149 განკარგულების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ხონი, შამათავას ქუჩა N10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე განთავსებული 130.70კვ.მ ფართიდან საიჯარო ობიექტი ფართით - 43.35კვ.მ და მასზე წილობრივად დამაგრებული 85.38კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (ს/კ 37.07.38.443.01.501), სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით, ყოველწლიური საწყისი საიჯარო ქირის ღირებულებით - 3130.0 (სამიათასასოცდაათი) ლარი.
2. დაევალოს ხონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახურს (ხელმძღვანელი: ი.ჟორჟოლიანი) უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის ჩატარების ორგანიზება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1).
4. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი